



გალტი & თავარში

შპს-ის შიდა კომუნიკაციები

ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

4 აგვისტო 2023

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.8036

კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების ხელმძღვანელი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გიგა ნოზაძე

უფროსი ანალიტიკოსი | gnozadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.2536



ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თ/თ*	ცვლილება, წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება იან-21-დან დღემდე
ამონიუმის ნიტრატი აშშ დოლარი/ტონა	190.0	+49.0%	-49.3%	
ნავთობი (brent) აშშ დოლარი/ბარელი	85.6	+14.2%	-0.4%	
სპილენძი აშშ დოლარი/ტონა	8,800.0	+5.7%	+5.2%	
ფეროსილიკონი (ჩინეთი) აშშ დოლარი/ტონა	1,375.0	-0.7%	-16.4%	
ფეროსილიკონი (ევროპა) აშშ დოლარი/ტონა	1,541.0	-8.9%	-22.2%	
ოქრო აშშ დოლარი/უნცია	1,965.1	+2.4%	+7.7%	
ბუნებრივი აირი აშშ დოლარი/მვტ სთ	30.0	-24.9%	-56.9%	
ხორბალი აშშ დოლარი/ტონა	235.3	+3.0%	-24.5%	

წყარო: ბლუმბერგი

*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



ენერჯეტიკა

ნავთობი

2023 წლის ივლისში ნავთობის ფასი თვიურად 14.2%-ით გაიზარდა, რაც OPEC+-ის წევრების მიერ მიწოდების შემცირების შესახებ განცხადებებს უკავშირდება. ამასთან, ნავთობის ფასების ზრდა ასევე გამოწვეულია ჩინეთის ეკონომიკის სტიმულირების პოლიტიკით და ეკონომიკის გახსნით, Goldman Sachs-ის თანახმად. Goldman Sachs პროგნოზირებს, რომ ნავთობის ფასი 2023 წლის ბოლოს ამჟამინდელ დონეს, ხოლო 2024 წლის მეორე კვარტალში 93 აშშ დოლარს გაუტოლდება.

ბუნებრივი აირი


2023 წლის ივლისში ბუნებრივი აირის ფასი 24.9%-ით შემცირდა, რადგან უხვმა მარაგებმა დააბალანსა მიწოდების მხარეს არსებული პოტენციური რისკები. გარდა ამისა, უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ქარის ენერჯის გაზრდილი გამომუშავება გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ბუნებრივ აირზე მოთხოვნას. 2023 წლის დასაწყისიდან ბუნებრივი აირის ფასი 56.9%-ით არის შემცირებული, რაც გლობალური ეკონომიკური აქტივობის შენელებასა და ევროკავშირში გაზის დაზოგვის ტენდენციას უკავშირდება.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Index Dutch TTF), აშშ დოლარი/მცტ სთ




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 3: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



სოფლის მეურნეობა


ამონიუმის ნიტრატი

2023 წლის ივლისში ამონიუმის ნიტრატის ფასი 49.0%-ით გაიზარდა. თუმცა, აღნიშნული ზრდა დაბალი ბაზის ეფექტითაა გამოწვეული, რადგან ფასებმა ხუთწლიან მინიმუმს მიაღწია 2023 წლის ივნისში. სასუქების ფასებმა 2021 წლის ბოლოდან დაიწყო შემცირება, რაც ძირითადად ბუნებრივი აირის ფასების შემცირებამ გამოიწვია, რადგან წარმოება დიდი რაოდენობით გაზს მოითხოვს. ფასის კლება ასევე განპირობებულია გლობალური ალტერნატიული მიწოდების წყაროების გაჩენითა და ახალი საწარმოო ობიექტების ჩამოყალიბებით, რაც ქვეყნებს უკრაინის კონფლიქტის გამოწვევებთან გამკლავებაში დაეხმარა.

ხორბალი


2023 წლის ივლისში ხორბლის ფასი 3.0%-ით გაიზარდა. ხორბლის ფასი ივლისის შუაში გაიზარდა, რაც აიხსნება რუსეთის მიერ უკრაინის მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმებიდან გასვლით, რამაც ბაზარზე გაურკვეველობა გააჩინა. უკრაინა, რომელიც ცნობილია მარცვლეულისა დიდი წარმოებით, ხორბლის მეხუთე უმსხვილესი ექსპორტიორი იყო ომამდე (გლობალური ექსპორტის 10%). აღსანიშნავია რომ, მარცვლეულის გარიგების შეჩერებამდე შავი ზღვის ხორბლის ფიუჩერსი 24.9%-ით შემცირდა 2023 წლის იანვრის შემდეგ.

გრაფიკი 5: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ხორბლის ფასი (Black Sea wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 7: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



ლითონები და მადნები

სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2023 წლის ივლისში სპილენძის ფასი თვიურად 5.7%-ით გაიზარდა, რაც ჩინეთში სტიმულირების პოლიტიკით და სამშენებლო სექტორის მოსალოდნელი გაჯანსაღებით იყო გამოწვეული. 2023 წლის დასაწყისში ფასებმა მატება დაიწყო, რაც ჩინეთის ეკონომიკის გახსნით იყო გამოწვეული, თუმცა ფასები მალევე შემცირდა დაბალი ეკონომიკური ზრდის გამო. ამასთან, ფასების კლებას ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში უძრავი ქონების სექტორის შენელებამაც შეუწყო ხელი. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში სპილენძის ბაზარზე დადებითი მოლოდინებია, ელექტრომანქანების წარმოების და განახლებადი ენერჯის სფეროში არსებული საჭიროების გამო.

ფეროსილიკონი


2023 წლის ივლისში ჩინურ და ევროპულ ფეროსილიკონზე ფასები თვიურად 0.7%-ით და 8.9%-ით შემცირდა. ფასებმა პიკს 2021 წელს მიაღწია და მას შემდეგ შემცირების ტენდენციაა. ჯერჯერობით, ჩინეთის ეკონომიკის გაჯანსაღების ეფექტი ფეროშენადნობების ბაზარზე არ ასახულა, რადგან სტიმულირების პოლიტიკის ეფექტების გადაცემას სამშენებლო და სხვა მნიშვნელოვან სექტორებზე გარკვეული დრო სჭირდება.

გრაფიკი 9: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 10: ფეროსილიკონის (75%) ფასი, აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 11: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 12: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი




ძვირფასი ლითონები

ოქრო


2023 წლის ივლისში ოქროს ფასი თვიურად 2.4%-ით გაიზარდა. 2023 წლის მეორე კვარტალში ცენტრალური ბანკების მხრიდან მოთხოვნის შენელების მიუხედავად, ოქროს ფასები კვლავ მაღალი იყო აშშ-ს მონეტარული გამკაცრების ციკლის დასასრულის მოახლოების ფონზე. ოქრო განიხილება როგორც ე.წ. safe-haven აქტივი ეკონომიკური გაურკვევლობის დროს და ჰეჯირების ეფექტური საშუალება ინფლაციის წინააღმდეგ. JP Morgan-ის პროგნოზით, ფასები წლის ბოლოს 2,000 აშშ დოლარს გადააჭარბებს, ხოლო 2024 წელს, საპროცენტო განაკვეთების კლებასთან ერთად, ახალ რეკორდულ დონეს მიაღწევს.

გრაფიკი 13: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 14: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მიითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობა.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evaboshorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ციტიშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ზურაბ თავყელიშვილი | ztavklishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | skurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge